№ 250

პარასკევი, 16 ნოემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877–1901

ივერია

№ 250

პარასკევი, 16 ნოემბერი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, №. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 18 ნოემბერს, 1901 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

დაკლებულის ფასებით

I

მ ტ ა რ ვ ა ლ ი

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად ი. ლაზარიშვილისა.

II

ქ ა რ ი შ ხ ა ლ ი

მონოლოგი ხუმრობა 1 მოქმედებად. ფრანგულიდან.

მონაწილეობას იღებენ: ქალბატონნი ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, ნებიერიძისა, მდივანი და სხვ. ბატონნი: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები დაკლებულია.

რეჟისორი ვ. გუნია

მზადდება ტასო აბაშიძის საბენეფისოდ ახალი კომედია **„სანატრელი მეუღლე"** (3—უ.—1)

ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობა ამით აცხადებს, რომ კრება ქალაქ ოზურგეთის მამულის პატრონთა, უმაღლესად ნება დართულ დაკლებულ რწმუნებულთა დამატებით არჩევნებისათვის, დანიშნულია რვა დეკემბერს 1901 წ. დილის ცხრა საათზედ ოზურგეთის მაზრის სამმართველოს დარბაზში. (3—238—3)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

კვირას, 25 ნოემბერს, სოფ. ქვემო მახხაანში **„მახხაანის მოამხმარებელ საზოგადოების"** წევრთა **საგანგებო კრებაა** დანიშნული, რომელზედაც საზოგადოების სალიკვიდაციო კომისსია უნდა იქმნეს ამორჩეული. რამდენიც უნდა დაესწროს წევრი, კრება უთუოდ კანონიერად ჩაითვლება, რადგანაც ორჯელ უკვე იყო კრება დანიშნული და საკმაო რიცხვი წევრთა არ დაესწრო.

კომისიის წევრნი: ალ. ნადირაძე და სოლ. ნასიძე.

(2—239—1)

გამგეობა გურიის ამხანაგობის

„შუამავლისა"

აცხადებს: რომელ წევრზედაც ითვლება აბრეშუმის თესლის ან სხვა ნისია რომელიმე წლისა, თუ არ შემოიტანს ამა ნოემბრის გასვლამდის, ვალი გამოერიცხება წილის ფულიდგან, წესდების და კრების დადგენილების თანახმად, და არ გაეგზავნება მოწვევის ბარათი საზოგადო კრებაში მონაწილეობის მისაღებად.

გამგე ს. ქეიშვილი.

(5—6.—2).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადისტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. აპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7^1/_2$ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Пэрвая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ავგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. ზ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. ზ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ხ. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. ზ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ფელეტონი

—

სამეცნიერო მიმოხილვა.

შავი ჭირი და მის წინააღმდეგ ბრძოლა. *)

II

თუ გაიხსენებთ, წარსულს წერილში მოკლედ აღვიწერეთ შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლი ლიმფა ანუ ჩირქი როგორა მზადდება. მსურს ახლა მეორე, არა ნაკლებ ნამდვილი, საწინააღმდეგო საშუალებაც გაგაცნოთ.

მართალია, შავის ჭირის ლიმფა უტყუარი და მარგებელი რამ გამოდგა: რამდენიც-კი სცადეს და რომელსამე ცხოველსა ან ადამიანს აუცრეს იგი, იმდენი დამტკიცდა, რომ მომაკვდინებელმა დოზამ შავის ჭირის შხამისამ ძალა ველარ გამოიჩინა და აცრილმა ჭირი თავისუფლად გადაიტანა, მაგრამ სწავლულთა ცოდნის მოყვარე გონება ამითი არ დაკმაყოფილდა. შემდეგმა გამოკვლევამ, რომელსაც საფუძვლად ხუნაგის წამლობა დაედო, მალე აღმოაჩინა, მართლაც, რომ აცრილის სისხლიც ანუ შრატი ისრევე მარგებელია შავის ჭირის წინააღმდეგ, როგორც თვითონ ლიმფა.

ბედნიერება ამ ახალის საშუალების აღმოჩენისა (1897 წ.) ამ ჟამად საფრანგეთის ცნობილს ბაქტერიოლოგოსს იერსენსა ჰხვდა წილადა, რომელმაც 1894 წ. იაპონელ ბაქტერიოლოგოს კიტაზატოსთან ერთად შავის ჭირის ბაცილლა აღმოაჩინა.

იერსენმა სამაგალითო ცდისათვის ისევ ადამიანის დიდის ხნის ერთგული მეგობარი ცხენი ამოირჩია, რომელზედაც ხუნაგის შრატი იყო ნაცადი; აიღო ბაცილები შავის ჭირისა და ცხენს ვენაში (სისხლში) შეუშხაპუნა. ცხენს მაშინვე შავის ჭირის ნიშნები გამოაჩნდა, მაგრამ მალე მიარჩა, გაუარა. იერსენმა აიღო და საგანგებოდ მოშენებული ბაცილები შავის ჭირისა (რასაკვრელია, თან ზომიერებას იცავდა) ხელმეორედ შეუშხაპუნა. როდესაც ასეთი ცდა უკვე რამდენჯერმე გაიმეორა და ცხენის სისხლი შხამს საკმაოდ შეეჩვია, იერსენმა ახლა ჭირიანი ბაჭიები აიყვანა და ამ რიგად აცრილი ცხენის სისხლი ამათ შეუშხაპუნა. ბაჭიებმა, რომლებსაც 12 საათის წინად შავის ჭირის წმინდა ბაცილები ჰქონდათ აცრილი, მომაკვდინებელი და მომშხამველი გავლენა ბაცილებისა სძლიეს და გასაღდნენ. ეჭვი არ არის, მიზეზი გასაღებისა მხოლოდ აცრილი ცხენის სისხლი ანუ შრატი იყო, სხვა არასფერი.

როდესაც დარწმუნდებიან, რომ ასე რამდენისამე აცრით ცხენის სისხლი შავის ჭირის შხამის წინააღმდეგ ბრძოლაში საკმაოდ გაავარჯიშეს, იღებენ მერმედ და საგანგებოდ გაწმენდილსა და გასუფთავებულს შუშის ცილინდრებში (თანაბრად სწორე ჰურჭელში) ასხმენ, დასწმენდენ ლამაზადა და ერთის დღის შემდეგ ზემოდგან მოგდებულს შრატს დიდის სიფრთხილითა და საგანგებო აპარატებით მოჰხდიან და, როგორც ლიმფას, იმავე წესით შრატს განსაკუთრებულს შუშებში ასხამენ და საჭიროების მიხედვით ჭირიანს ქვეყნებში გზავნიან აქეთ-იქით.

რადგანაც შესაძლებელია ოდესმე ჩვენს მკითხველსაც მოუხდეს სადმე ჭირიანს ქვეყანაში ყოფნა, ურიგო არ იქნება ამისათვის, ვგონებთ, იცოდნენ—ან ერთს ან მეორეს როგორ უცრიან და აცრას შედეგათ რა მოსდევს. მოგახსენებთ. აიღებენ შესაშხაპუნებელს შპრიცს, ჩაასხმენ 3—5-მდე კუბიკ. სანტიმ. შავის ჭირის საწინააღმდეგო ლიმფას (წამლის რაოდენობის შერჩევის დროს ადამიანის წლოვანობითა და სქესით უთუოდ ხელმძღვანელობენ) და მაჯაში ან მხარში შეუშხაპუნებენ.

შეშხაპუნებიდგან რამდენისამე საათის შემდეგ აცრილს 39°-დე სიცხეს მისცემს (შეიძლება ცოტა მეტ-ნაკლებიც იყოს), საზოგადოდ მთელის ტანის მოუძლურება და მოშვება დაეტყობა, თავი ასტკივა. თვითონ აცრილი ადგილი ცოტათი შეუსივდება და ტკივილს დაუწყებს, მაგრამ 3—4 დღეზედ სულ-მთლად გაუვლის. ლიმფის შეშხაპუნებას ჩვეულებრივად მეორედა და მესამედ გაუმეორებენ ხოლმე.

თუ რამდენად ნამდვილი და მარგებელია შავის ჭირის წინააღმდეგ ასეთი აცრა, ამის მაგალითებსაც მოგახსენებთ. ბომბეის მახლობლად, სადაც შავი ჭირი მუდმივ სენად ითვლება, ინდოელთა ქალაქის გებლის მცხოვრებლებს თითქმის ყველას აუცრეს ეს ლიმფა და, წარმოიდგინეთ, მთელი ქალაქი გადურჩა ჭირსა.

რუსეთის ცნობილმა სწავლულმა ხავკინმა უკეთესი ცდა მოახდინა: აიღო და ბომბეის საპატიმროებში თითქმის ნახევარს ხალხს აუცრა ეს ლიმფა. იმ ნახევრიდგან, რომელსაც ლიმფა აუცრა, თითქმის ყველანი გადურჩნენ სიკვდილსა, დანარჩენ ნახევრიდგან-კი 80% დაიხოცა. ეჭვი არ არის, ასეთი განსხვავება სიკვდილ-სიცოცხლისა ერთგვარს პირობებში მცხოვრებ ხალხისათვის მხოლოდ აცრასა და მისს სამკურნალო გავლენას უნდა მიეწეროს, სხვას არასფერს.

ასრევე, მაგალითად, ამ რამდენისამე წლის წინად რომ ასტრახნის გუბერნიაში შავი ჭირი გაჩნდა, თითქმის ყველა საეჭვო ხალხს აუცრეს ლიმფა და ჭირი ისე ძალიან ველარ გავრცელდა, მალე მოისპო.

როგორც ცდამა და დაკვირვებამ დაარწმუნა ჭირიანს ქვეყნებში მყოფი სწავლული მკურნალები, შავის ჭირის საწინააღმდეგო შრატი გასაფრთხილებლადაც თურმე იხმარება; პირ-იქით, გასაფრთხილებლად ბევ-

*) იხ. „ივერია № 245.

ს. ა. ᲕᲚᲘᲜᲚ—ხირურგიული სადოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

ი. დ. ᲑᲔᲒᲗᲐᲑᲔᲒᲚᲕᲘ. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

ᲡᲐᲚᲐᲛᲚᲗᲘ:

ი. ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ᲙᲕᲘᲠᲐᲚᲑᲘᲗ:

გ. გ. ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲒᲘᲡ

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **ᲡᲐᲥᲔᲠᲐᲕᲡ**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას ᲓᲐ საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (მᲔᲢᲙᲘ). ბარონის ქუჩა, № 12.

(20—უ—3)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

*** ტფილისის ყოველ-კვირეული რუსული გაზეთი „Аргонавтъ“-ი გუშინდლიდგან ყოველდღიურად გადაკეთდა. გაზეთი ჩვენის გაზეთის ტოლია და წლიურად ქალაქ გარეთ ხელის მომწერთათვის ღირს 7 მან., ხოლო ადგილობრივ ქალაქში—5 მან. როგორც გაზეთის მეთაურ წერილიდგანა სჩანს, მიზეზად ყოველ-კვირეულ გაზეთის ყოველ-დღიურად გადაკეთებისა მკითხველთა მოთხოვნილება თურმე გახდა, რომ ყოველივე საყურადღებო ცნობები და მასთან საჭირო, საამდღეო წერილები გაზეთმა მკითხველებს თავისს დროზედ მიაწოდოს. პროგრამად გაზეთი იმასვე აცხადებს, რაც ყოველ კვირეულს ჟურნალს წაუმძღვარა. ვუსურვებთ გაზეთს გარეგნობის შეცვლასთან ერთად წარმატებასა.

*** ხვალ, 17 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობაში მკურნალის ლუნკევიჩის თავმჯდომარეობით სხდომა ექნება იმ კომისიას, რომელსაც ნატახტარის წყაროების გამოკვლევის საქმე აქვს მინდობილი. სხდომაზედ, სხვათა შორის, მიწვეულნი არიან ქალაქის საქიმო ლაბორატორიის გამგე ალიბეგოვი, სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი და სხვანი.

*** ახალ ხმოსანთა საარჩევანო სიების შედგენა და შემოწმება, როგორც გვქონდა უკვე აღნიშნული, ქალაქის საბჭოს მდივანს სტეფანე ჭრელაშვილს მიენდო, რომელსაც ერთი ნაწილი მუშაობისა უკვე დაუმთავრებია. ეს ქაღალდები საბუთებთან უკვე შეუმოწმებია თვით ჭრელაშვილსა და რადგანაც ეხლა საჭიროა მათი დაწყობა რიგ-რიგად, გამგეობას სთხოვს, თანა შემწედ ორი მოხელე დამინიშნეთ, რადგანაც ერთის კაცისათვის მათი დაწყობა ყოვლად შეუძლებელია. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს სხდომაზედ განიხილა ეს საგანი და გარდასწყვიტა მდივანს ჭრელაშვილს საარჩევანო სიების საბოლოოდ დასაწყობ შესადგენად ორი მოხელე დაუნიშნეს.

*** „Вѣстн. горн. дѣла и орошен.“ № 21-ში დაბეჭდილია ბ-ნის ბ. პაულის წერილი „ამიერ-კავკასიაში სარწყავ წყლის სარგებლობისათვის“ დადგენილ წესდების მოსალოდნელ ცვლილების შესახებ. ავტორი სასურველადა სთვლის, მირაბის თანამდებობაზედ ინიშნებოდნენ არა ხალხისაგან არჩეული კაცები, არამედ მთავრობის მოხელე-ტეხნიკოსები. ჩვენ-კი გვგონია, რომ მორწყვის საქმე ისეთი არსებითი საქმეა, მეტადრე აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიისათვის, რომ მირაბის თანამდებობაზედ გარეშე კაცის დანიშვნა და ისიც „კაკარდიანისა“—ცოცხალს საქმეს კანცელიარულს ფერს მისცემს და სადაც ადათისა, ადგილისა, დროისა და გარემოების ცოდნაა საჭირო, იქ ქაღალდს გააბატონებს.

*** ტფილისის მასწავლებელ ქალთა საზოგადოებას, „Аргонавтъ“-ის სიტყვით, განზრახვა თურმე აქვს თავისს მოხუცებულ წევრთათვის თავშესაფარი დააარსოს ტფილისში.

*** მართლმადიდებელ სამღვდელოებისათვის განზრახულ საპენსიო კასსის წესდების პროექტი დასამტკიცებლად სახელმწიფო საბჭოში წარუდგენიათ. აღნიშნულის პროექტით 35 წლის სამსახურისათვის უნდა დაენიშნოთ პენსიად: საკათედრო ტაძრების დეკანოზებს წელიწადში 500 მან., ქალაქის ეკკლესიების წინამძღვრებს 400 მან., დანარჩენს მღვდლებს 300 მან., მთავრებს 200 მან. და მედავითნეებს 100 მან. ქვრივები მხოლოდ ნახევარს მიიღებენ ამ პენსიისას, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შვილები დაჰრჩებათ შესანახად, სრული პენსია მიეცემათ. 30, 25 და 20 წლის სამსახურისათვის ნაკლები პენსია დაენიშნებათ.

*** „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ ახალ გამგეობის 14 ნოემბრის სხდომაზედ თავმჯდომარის ამხანაგად ისევ ბ-ნი ნ. ზ. ცხვეთაძე ამოურჩევიათ, ხაზინადრად არჩ. ჯორჯაძე, მდივნად ალ. ი. სარაჯიშვილი, ხოლო საქმის მწარმოებლად ბ. მირიანაშვილი. გამგეობის თავმჯდომარედ საზოგადო კრებამ, როგორც მოგეხსენებათ, თავ. ილია ქავჭავაძე ამოირჩია.

*** მიწათ-მოქმედების სამინისტროს სამთო სამმართველოსათვის სამხრეთს რუსეთში ახალი შტატების პროექტი შეუდუშავებია. პროექტი განსახილველად სახელმწიფო საბჭოში წარუდგენიათ.

*** როგორც ახტალის სადგურიდგან იუწყებიან, 14 ნოემბერს, მატარებლების № 59 და 60 გზ-ს აქცევის დროს, მატარებლის № 59 მგზავრს ოსიფ იჰანეზოვს ლიანდაგზედ გადავლა სდომებია, ამ დროს მატარებელს № 60 მოუსწრია და ორივე ფეხი მოუწყვეტია.

*** სასულიერო სასწავლებლებში უკეთეს გალობის მასწავლებლების მისაწვევად უწმ. სინოდს გარდაუწყვეტია სამსახურში გალობის მასწავლებლებს ისრეთივე უფლებანი მიანიჭოს, როგორიც სასულიერო სასწავლებლების სამეცნიერო საგნების მასწავლებლებსა აქვთ მინიჭებული.

*** როგორც „Тифл. Л.“ სწერს, ტფილისში შაქრის ქარხნების საააქციონერო საზოგადოება თურმე არსდება, რომელსაც ძირითად თანხად 1 მილ. მანეთი ექმნება. თვითო აქცია 1,000 მან. ეღირება.

*** რედაქციამ მიიღო ახალი რუსულს ენაზედ დაბეჭდილი წიგნი განსვენებულის მიხ. ვ. ხელთუფლიშვილისა: „Вступленіе Грузіи въ составъ Россійской имперіи“. წიგნი გამოცემულია ალ. არაბიძის მიერ, დაბეჭდილია ქუთაისში, კილაძისა და ხელაძის სტამბაში და ღირს 60 კაპ. წიგნი მოსკოვშია ცენზურის მიერ ნებადართული.

*** პეტერბურგის ერთი ღვინის მრეწველი ფირმა შემდეგის პირობით შეჰკვრია ერთს ჩვენებურს ნასწავლს მეღვინეს: ა) მეღვინემ ყოველ წლივ დააყენოს, ან იყიდოს ფირმისათვის და შეინახოს ჯეროვანად აშენებულს მარანში არა ნაკლებ 10,000 ვედრო ღვინისა; თუ მეტს დაამზადებს, უკეთესია; ბ) მარანის აშენებისათვის საჭირო ფულს ფირმა უსარგებლოდ სესხად აძლევს მეღვინეს, რომელსაც რამდენისამე წლის განმავლობაში ღვინის ფასიდან გამოერიცხება განსაზღვრული % % თავნის გასასტუმრებლად.

საქმის დაწყებას ხსენებული მეღვინე ზემო იმერეთიდგან აპირებს, სადაც განზრახულია აქვს ეთოვლი მარანის აშენება.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ განმეორებით მისწერა სახალხო მატარებლების ობერ-კონდუქტორებს, რომ არავითარს შემთხვევაში მგზავრებს ცოცხალი პირუტყვის თან წაყვანის ნება არ მისცენ ხოლმე.

*** პოლიციის მე 5 ნაწილის ბოქაული სთხოვს ქალაქის გამგეობას მუხრანიანთ ბორანის მდგომარეობას ყურადღება მიექცეს და ბორანის ორსავე მხარეს დაზიანებული ადგილები რაც შეიძლება მალე გაკეთდეს.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ჰქონდა სხდომა 13 ნოემბერს იმ საგნის განსახილველად, გადაიდვას თუ არა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო სამრეწველო გამოფენა მომავალის წლისათვის, მაგრამ კრება არ შესდგა წევრთა დაუსწრებლობის გამო. ამავე საგნის განსახილველად საბჭოს სხდომა დღეს, 16 ნოემბერს, იქნება საღამოზედ.

*** დღეს, 16 ნოემბერს, სხდომა ექნება ტფილისის სიფხიზლის საზოგადოების კომიტეტს, რომელმაც ქალაქის ყველა ნაწილებში სამოქმედოდ საერთო პროგრამა უნდა შეიმუშაოს.

*** როგორც ქიზიყიდგან გვატყობინებენ, „ქვემო-მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოების“ კრება ამ თვის 25-ს, კვირას, თურმეა ს. ქვემო-მაჩხაანში სალიკვიდაციო კომისიის ამოსარჩევად დანიშნული.

*** პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაული უცხადებს ქალაქის გამგეობას, რომ მუშები იქმნენ დანიშნულნი და ექსარხის მოედანი ყოველ დღე იწმინდებოდეს

*** 6—7 ნოემბერს, პოლიციის მე-9 ნაწილში ვიღაც ქურდ-ბაცაცებს ავჭალის ქუჩაზედ იოსებ შალიაშვილის დუქანი გაუტეხიათ და გაუტანიათ სხვა-დასხვა საქონელი, 300 მანეთზედ მეტის ღირებულობისა. პოლიციას აღმოუჩენია, რომ აღნიშნულ ნაქურდალ ნივთების მსყიდველი ყოფილა ტფილისის მოქა-

---

რად თურმე უმჯობესია, ვიდრე იმ შემთხვევებისათვის, როდესაც ადამიანს შავი ჭირი უკვე შეჰყრია და საჭიროა დაავადებულს სხეულს უწამლონ. იერსენი ამის შესახებ აი, რას მოგვითხრობს: ბომბეაში მყოფ რუსეთის მისსიის ერთმა მკურნალმა თავი წინადვე აიცრა შრატით და შემდეგ, როდესაც ჭირიანს ავადმყოფს სჭრიდა, ხელი გაიჭრა. მეორე დღეს, სწორედ იმ მხარეს, საითაც ხელი გაიჭრა, იღლიის ქვეშ პატარა მუწუკი გამოუვიდა და შეუსივდა, მაგრამ მესამე დღეს ისევ გაუქრა, მკურნალი უვნებელი დარჩაო. უფრო უკეთესს მაგალითს მოგვითხრობს იერსენი: ერთს ევროპიულს ოჯახში მოსამსახურე გახდა შავის ჭირით ავად და მოკვდა. ამის შემდეგ მალე ახლა პატარა ქალი გახდა იმავე ოჯახში ავად. ავადმყოფს მე ვწამლობდი და მორჩა. ჭირის წინააღმდეგ გასაფრთხილებლად ამავე დროს შრატი ავუცერი მამას, დედას ქალისასა და ოთხს მოსამსახურეს. არც ერთი ამათგანი ავად არ გამხდარა; მაგრამ დანარჩენ ხუთი მსახურიდგან, რომლებსაც შრატი არა ჰქონდათ აცრილი, ოთხი გახდა ჭირით ავადა და ოთხივე მოკვდაო. ეჭვი არ არის, დანარჩენები აცრამ გადარჩინა. იერსენს 500 კაცისათვის აუცრია თავისი შრატი და ამათგან მხოლოდ ხუთი გამხდარა ავად და ორი მომკვდარა.

მეორე მკურნალს სიმონს კიდევ 400 კაცისათვის აუცრია შავის ჭირის წინააღმდეგ ეს შრატი ინდოეთში და 20 დღის განმავლობაში არც ერთი ამათგანი შავი ჭირით ავად არ გამხდარა.

ამ რიგად, როგორც მტკიცდება, შავის ჭირის საწინააღმდეგო შრატი უფრო გასაფრთხილებელი საშუალება ყოფილა, ვიდრე სამკურნალო, რაიცა, ეჭვი არ არის, ბევრად ძვირფასადა და იშვიათ თვისებად უნდა ჩაითვალოს: საქმე ის-კი არ არის, რომ ავადმყოფი მოარჩინოს როგორმე წამალმა (ეს ხომ ხან-და-ხან უწამლოდაც მოხდება ხოლმე), საქმე ის არის, ადამიანს მოსალოდნელი ჭირი თავიდგან ააცილოს.

ჩვეულებრივად თვითო ავადმყოფს 50—100 კუბ. სანტიმ. შრატი სჭირდება, რასაც რამდენჯერმე შეუშხაპუნებენ ხოლმე ნაწილ-ნაწილად, 10—15 სანტიმ.

როგორც სასტატისტიკო ცნობებითა მტკიცდება, შავის ჭირის საწინააღმდეგო შრატის სარგებლობა სწორედ რომ უმაგალითო თურმეა. აცრილთაგან უკიდურესს შემთხვევაში, სულ ცოტა, ნახევარი მაინც უვნებლად თურმე ხდილობს ჭირსა, თორემ იერსენს მოჰყავს ისეთი მაგალითებიც, როცა ¾ აცრილთა და მეტი სიკვდილს გადარჩენილა.

ეჭვი არ არის, თვითოეულს კერძო შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, თუ თვითონ ავადმყოფი რამდენად ჯანსაღი იყო ადრე, წამლობის დროს რამდენად ხელი შეეწყო, რა ღირსების შრატი აუცრეს და სხ. სამაგალითოდ სუფთად შრატის მომზადება-კი ერთობ ძნელია, მეტადრე მაშინ, როდესაც მოთხოვნილება შრატისა ერთობ დიდია და საღსარი-კი შოვნისა არ არის.

ამ ჟამად მთელს დედამიწის ზურგზედ სულ სამს ადგილას არის საგანგებო ლაბორატორია გამართული, სადაც შავის ჭირის საწინააღმდეგო ლიმფასა და შრატს ამზადებენ: ერთი ამათგანი ბომბეაშია—ხავკინისა, სადაც მხოლოდ შრატს ამზადებენ, მეორე პარიჟში—მეჩნიკოვისა, პასტერისეულს ინსტიტუტში, სადაც მხოლოდ ლიმფას ამზადებენ და მესამე პეტერბურგს, კრონშტადტის პირდაპირ კუნძულზედ, იმპერატორის ალექსანდრე I სიმაგრეში, სადაც ლიმფაცა და შრატიც, ორივე მზადდება.

ურიგო არ იქმნება, ჩვენის აზრით, მოკლედ ეს შესანიშნავი ლაბორატორიაც გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს, მით უფრო რომ განკერძოებული და ამ ქვეყანას მთლად მოცილებულ-მოწყვეტილი მდგომარეობა მისი უთუოდ უკეთ დაარწმუნებს ყველასა,—რამდენი სიფრთხილე და მორიდებაა საჭირო იქ, სადაც შავის ჭირისა რამ ნიშნები გაჩნდება.

ლაბორატორია, როგორც უკვე მოგახსენევით, კუნძულზედ არის ციხეში აშენებული, სადაც მისვლა-მოსვლა ხალხისა იშვიათია. ლაბორატორიას აზრადა აქვს: პირველი, მოამზადოს საჭირო რაოდენობა ლიმფისა და შრატისა და მეორე, საგანგებოდ მიჩენილმა სწავლულებმა თვალ-ყური ადევნონ და იკვლევ-იძიონ ყოველივე, რაც-კი შავს ჭირს შეეხება. ამ აზრით ლაბორატორიაში აშენებულია ცალკე ოთახები იმისათვის, თუ სად საცდელი ცხოველები და პირუტყვები იყოლიონ, სად საღი და სად ჭირიანი, სად იკვლიონ სწავლულებმა, სად ავადმყოფი დააწვინონ, თუ ვინმე მსახურთაგანი ან მაკვლევარი გახდება უცბად ავადა, სად და როგორ ირეცხებოდეს ყოველივე, რაც-კი ჭირიან საქონელთანა და მაკვლევართან მოჰხვდება, სად იწვოდეს ცხოველებისა და ადამიანის განავალი და სხ. ფანჯრებს ყველგან საგანგებო ბადეები აქვს გაკეთებული, რომ არსაიდგან არც ერთი ბუზი და მწერი არ შეფრინდეს ამ სიკვდილის სახლში და შემდეგ აქედგან ჭირი ხალხს არ მოედოს.

მოგახსენებთ სანიმუშოდ, როგორ არის გასაფრთხილებლად ჭირიანი საქონლის ოთახი მოწყობილი და როგორ უნდა მიიქცეს ყველა, ვინც-კი ჭირიანის ოთახში შესვლას განიზრახავს—მკურნალი იქმნება, ფერშალი, თუ მსახური, სულ ერთია. ყველა ოთახის წინ, გრძელს დახურულს დერეფანში, რომელის იატაკი და კედლებიც მთლად ბეტონით არის გადალესილი, სდგას წყლის კრანი და ელექ-

ლაქე ლაზარე მერეკაშვილი და მისი ნოქარი გიორგი კაჩიაშვილი. პოლიციამ აღმოაჩინა აგრეთვე საქონლის ქურდებიც ხიკოლოზ აბაზაძე, გიორგი ნონიევი და ალექსი მოსესოვი, რომელნიც უკვე გამოტყდნენ ქურდობაში. დამნაშავენი დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

ᲪᲝᲚᲓᲕᲘᲡ ᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲐ.

(ერთი მუხლი ჩვენის სამართლისა)

—

დაარსდა თუ არა საქართველოში რუსეთის გამგეობა, მაშინვე ვახტანგ მეფის სისხლის სამართალი სახმარებლად აკრძალეს და მოსპეს. ეს სამართალი სრულიად არ შეეფერებოდა დროთა ახალ ვითარებას. იმ დროინდელ მეცნიერებამ ახალი სხივი და ნათელი მოჰფინა კანონმდებლობას და ვახტანგ მეფის სისხლის სამართალი კი საშუალო საუკუნეთა სწავლასა და მოძღვრებას არ გასცილებოდა, სხვა-და-სხვა ბარბაროსულ ჩვეულებას მისდევდა, როგორც მაგალითებრ—შანთი, მდუღარე, და გამოსადეგი აღარ იყო. სამოქალაქო სამართალი დასტოვეს და კარგადაც ინებეს. ამ სამართლის რამდენიმე მუხლი ახლაც ხმარებაშია.

თუმცა აგერ ერთი საუკუნე გავიდა, რაც ჩვენი სისხლის სამართალი მოისპო, მაგრამ ცხოვრებაში ამ სამართალს ჯერაც სრულიად არ დაუკარგნია მნიშვნელობა. არაფერს ვიტყვით მთაზედ, რომელიც ახლაც, უმეტესად, ვახტანგის სისხლის სამართლით ხელმძღვანელობს. ჩვენი მთა იმთავითვე საეროვნო კულტურას ჩამორჩენილი იყო და, რასაკვირველი უნდა იყვეს, თუ იქ იურიდიული აზრი ისევ საშუალო საუკუნეთა წერტილზედ სდგას. მაგრამ აღსანიშნავი ის არის, რომ ბარელსაც, კულტურულ ვაკის მკვიდრსაც ღრმად გულში დაუმარხავს ვახტანგის სისხლის სამართლის ზოგიერთი რიგი და წესი. ეს გარემოება კიდევ ცხადად ამტკიცებს—თუ რა ნამდვილს და ცოცხალს ეროვნულს ნაწარმოებს წარმოადგენდა ვახტანგის სამართალი.

გასულ ზაფხულს სოფლად მოვიხდა ცხოვრება. ხალხის ადათსა და ჩვეულებას ვაკვირდებოდი. ერთხელ მიამბეს, რომ ამა და ამ კაცმა თიკანი მიაბარა მეცხვარეს, რომელმაც პატრონს თიკანი აღარ დაუბრუნა და საქმე უეჭველად საჩივლელად გახდებოდა, მაგრამ მეცხვარემ „ცოდვა მოიკიდა“ და თავი იმართლაო. „ცოდვის მოკიდება“ აქამდე შენახულა ხალხში და იქმნება ბევრმა არც-კი იცოდეს,—რას ნიშნავს ეს სამართლის ქმნა.

ძველად სამართალს, ჩვენშიაც და სხვაგანაც, ღვთიური თვისება ჰქონდა და მსჯავრი აღიარებული იყო ღვთის საქმედ. იმ დროს ეგონათ, რომ სამართალი უხილავად, ღვთაების განგებით სწარმოებს და ამიტომ დამნაშავე ღვთის რისხვას ვერსად წაუვა. ამ დედა-აზრზედ იყო დამყარებული ევროპიული „ორდალი“ — ღვთის სამართალი (божій судъ).

ორდალის ანუ ღვთის სამართლის სამშობლოდ ინდოეთი ითვლება. იქიდგან მოეფინა ეს სამართალი მთელ ევროპას და, ვგონებ, ჩვენს ქვეყანასაც. ვამბობთ „ვგონებ“ იმიტომ, რომ ქართულ სამართლის ნასახნი და დასაწყისნი არიელ შთამოებისა არიან. მაგრამ ინდოეთის სამართალმა ცოდვის მოკიდება არ იცოდა. ეს სამართლის ქმნა არც ძველ ევროპიელებს მოეპოვებოდათ. ამის მიხედვით ვფიქრობთ, რომ ცოდვის მოკიდება უნდა შეადგენდეს ქართულს ეროვნულს ჩვეულებას, თუ კი ეს ჩვეულება გადასხვაფერებული არ არის რომელსამე ძველ ინდოეთელ ანუ ევროპიელ სამართლის წესისაგან. ასეთი გადასხვაფერება და გარდაკეთება უცხოელ სამართლის ჩვეულებისა ჩვენს ცხოვრებაში იშვიათს მოვლენას როდი შეადგენდა. აი მაგალითიც.

უეჭველია, თქვენც ხშირად გაგეგონებათ ჩვენებური ფიცი—„ამ პურის მადლი გამიწყრეს, თუ ვსტყუოდეო“. რას ნიშნავს „პურის მადლის გაწყრომა“?—ძველად ინდოეთში დამნაშავეს ხმელ ბრინჯით გაასამართლებდნენ ხოლმე: პირში ბრინჯს ჩააყრიდნენ და უბძანებდნენ—დაღეჭეო. იმასაც უნდა დაეღეჭა და თუ ღძილები დაეჭრებოდა და დაუსისხლიანდებოდა, მტყუანი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში—მართალი გამოდიოდა. ეს ჩვეულება გერმანელებმა თავისებურად გადაასხვაფერეს. ხმელ ბრინჯის მაგიერ დამნაშავეს პირში ჩაუდებდნენ პურის ანუ ყველის ნაჭერს და ეტყოდნენ,—გადაყლაპეო. თუ გადაყლაპავდა, მართალი იყო. შემდეგ უბრალო პურის გარდა, წმინდა ანუ ნაკურთხის პურით გაასამართლებდნენ ხოლმე. უკეთუ დამნაშავეს პური ყელზედ დაადგებოდა, გამტყუნდებოდა და სასჯელს იხდიდა. აი აქა აქვს დასაწყისი ჩვენებურს „პურის მადლის გაწყრომას“... ახლა პურით გასამართლება აღარ მოიპოვება და მხოლოდ ნაშთი-ღა შენახულა. ცოდვის მოკიდება კი ხელ-უხლებლად დარჩენილა და მდაბიო ხალხი ახლაც ჰხმარობს ამ ჩვეულებას.

თვით სიტყვათა აზრიც უჩვენებს, რას ნიშნავდა ცოდვის მოკიდება. როცა ვისმე რაიმე მცირე ბრალი დაედებოდა, „შეეწამებოდა“, ბრალდებულს „შემწამებელი კაცი“ ზურგზედ უნდა აეკიდა და ასე ეთქვა: „შენიმც ცოდვა მეორედ მოსვლას მეცა მაქვს და შენდა ნაცვლადცა მე განვიკითხები, თუ მე ეგ მექნას“. თუ ამას იქმოდა და იტყოდა,—„აღარავინ რას ემართლების და თუ ვერ მოიკიდა, რასაც სწამობს, უნდა პასუხი გასცესო“, ბძანებს ვახტანგ მეფე.

ზემოდ ხსენებულ მეცხვარეს თიკნის პატრონი აბრალებდა—ჩემი თიკანი შენ დაგიკლავს და შეგიჭამია, მე-კი მატყუებ—მგელმა მომტაცაო. მეცხვარეს შემწამებელი ზურგზედ მოეკიდა და გამართლებულიყო.

ცოდვის მოკიდებას დამტკიცებათა და საბუთთა სიაში სულ უკანასკნელი ადგილი ეჭირა. მხოლოდ მცირედი ბრალი უნდა განსამართლებულიყო ცოდვის მოკიდებითა. მთელი სამართალი თვითეულ დანაშაულსა და ბრალს უჩენდა და სდებდა საკუთარს ფასსა და რამდენადაც დანაშაული და ბრალი მცირე იყო, იმოდენად „სისხლიც ცოტა ეურვებოდა“, ცოტა ზარალი ჰხდებოდა. ცოდვის მოკიდებას სამართალი თხოულობდა მაშინ, როცა უბრალო საქმე იყო გარდასაწყვეტი—„დიდი საქმე ცოდვით არ გადასწყდებისო“. ცოდვის მოკიდებას მაშინ მიმართავდნენ ხოლმე, როცა საქმე ერთის მარჩილისა იყო (მარჩილი სამ აბაზს უდრიდა), ან“ ცოტად უფროსი ან უმცროსი საქმე იყოსო“. შეიძლებოდა, მაგალითებრ, საქმე ღირებულიყო მანათ ნახევრად და მეტადაც და ცოდვის მოკიდებით გადაჭრილიყო.

აღსანიშნავია, რომ ცოდვის მოკიდების დროს მარტო „საქმის“ ღირებულობას არა ჰქონდა მნიშვნელობა,—„შეწამებულის“, ბრალდებულის ვინაობასაც ყურადღებას აქცევდნენ,—„იქმნების ასეთი კაცი, რომე იმისგან ცოდვის მოკიდება და სულზედ შეევარდნა ძროხაზედაც დაეჯერებოდესო“, ხოლო „ძროხა“ ორ მანათად ღირდა. ჩვენი სამართალი ერთისა და იმავე წოდების ყველა წევრს ერთნაირად არ უცქეროდა და აქაც კი განსხვავებას ჰპოვებდა,—ზოგს მარჩილად ღირებულ საქმისთვის უნდა აეკიდა ცოდვა და ზოგს კიდევ ძროხად ღირებულისთვის! ასეთი საოცარი სოციალური და წოდებრივი უსწორმასწორობა და უფროს-უმცროსობა სუფევდა ჩვენს წარსულს ცხოვრებაში!

ცოდვის მოკიდება უფრო მდაბიო ხალხისთვის იყო დაწესებული, თუმცა, როგორც ვფიქრობთ, მაღალი წოდებაც მისდევდა ამ სამართლის ქმნას. ახლაც ხშირად გაიგონებთ საუბრის დროს—“ შენი ცოდვა მქონდეს, თუ... „შენი ცოდვა ნუ მქონია“... ამ სიტყვებით მესაუბრე „ცოდვას იკიდებს“, ხოლო ზურგზედ კი არა, როგორც ძველად იცოდნენ. ცხადია, რომ ცოდვის მოკიდება საყოველთაოდ სახმარებელი ყოფილა. ეს ჩვეულება მაღალ წოდებას დავიწყებია და მხოლოდ გლეხობასღა შერჩენია.

ნ. ურბნელი.

დამაკვირდი

—

სულელები და ჭკვიანები ერთნაირად უვნებელნი არიან. ძნელად ასატანელნი არიან მხოლოდ ნახევრად სულელნი და ნახევრად ჭკუიანნი.

გეტე.

—

ყველაზე ძლიერი ის არის, ვინც თავისის თავის მფლობელია.

სენეკა.

—

გადამეტებული თავმდაბლობა დაფარული ამპარტავანებაა.

შენიე.

თეატრის მატიანე

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

„ორ ცეცხლს შუა“ დრ. 3 მოქმ. „ირინეს ბედნიერება“ სურ. 2 მოქ. დ. კლდიაშვილისა.

—

ჩვენ მუდამ ვკიცხავთ ქართველობას, რომ ქართულ თეატრისადმი გულშემატკივრობას არ იჩენს, ქართულ წარმოდგენებს ნაკლებად ესწრება და ამით თეატრის აყვავების და განვითარების საქმეს აფერხებს. მართალია, ჩვენი საზოგადოება ღირსია გაკიცხვისა ქართულის თეატრისადმი გულგრილობისთვის, მაგრამ ზოგჯერ ჩვენს მსახიობებსაც მივაქციოთ ყურადღება და მაშინ, შეიძლება, ადვილად ავხსნათ ჩვენის საზოგადოების საქციელი. ჩვენ სულ იმას გავიძახით,—თეატრი დიად მნიშვნელოვანი ეროვნული დაწესებულებაა საერთოდ და კერძოდ ჩვენთვის, ქართველებისათვის; იგი თითქმის „ერთად ერთი ადგილია, სადაც

ტრონის ლამპარი. იქვე იატაკზედ სდგას ტაშტი წყლით, რომელშიაც სუფლემა ან კარბოლის სიმჟავეა გახსნილი. აქვეა ჩამოკიდებული საგანგებო რეზინის გრძელი ხალათი, რომელსაც თეთრ ტილოს ხალათზედ იცმენ ზემოდგან (ტილოს ხალათში ტანი ხელებიანათ მთლად დაფარულია). ვიდრე ჭირიან საქოველთან შევიდოდეს, მკურნალი იქნება თუ ფერშალი, ჯერ ჩაიცვამს ფალალ-ყელიანს რეზინის განიერს ხალოშებს, შემდეგ რეზინისავე შარვალს, წამოისხამს რეზინის ხალათს და თავზედაც ჩაჩს დაიხურავს; მოუშვებს მერმედ სადეზინფექციო სითხესა და მთლად გაიბანება. ფეხებსაც ასრევე ამოავლებს ტაშტში. ერმედ შევა ოთახში და მორჩება თუ არა საქმეს, გამოსვლისას ხელსახლად სადეზინფექციო სითხეს გადივლებს, ფეხებს ტაშტში ჩაჰყოფს. თელს იმ ოთახს ყველგან სადეზინფექციო სითხესა და წყალს ასხურებენ, რეზინის ჩასაცმელს გაიხდის და ტილოს ხალათიანი სწრაფად გავა გარედ.

თუ გავიხსენებთ იმას, რომ, ასიებულს ჯირკვლებსა და იარებს არდა, შავის ჭირის ბაცილები ძრავლად მოიპოვებიან აგრეთვე განავალშიაცა და ნაფურთხშიაც, მაშინ სრულიად გასაკვირველი არ უნდა იყოს ის სიფრთხილე, რომლითაც აღნიშნულს ლაბორატორიაში, მაგალითად, პირუტყვებისა და ადამიანის განავალსა, ნარეცხსა, სარეცხსა და სხ. მისთ. ებყრობიან. განავალის ზღვაში გადაყრა შეუძლებელია; ყოველ-დღე, მკურნალის მეთვალყურეობით გროვდება იგი დიდის სიფრთხილით, ჭყრიან ყუთში, შემდეგ ამ ყუთს მეორეში სდგმენ, ზევიდგან სულემას ასხმენ და საგანგებო, ეგრედ წოდებულს საკრემაციო ღუმელში სწვამენ. ნარეცხს წყალს კიდევ, ვიდრე ზღვაში ჩაუშვებდნენ, საგანგებო მილებით ერთს ადგილას ქვაბში აგროვებენ, 120° ადუღებენ დიდხანსა და მერმედ-ღა სცლიან ზღვაში, რომ აქედგან წყალი და ჰერი არ მოიწამლოს. სარეცხსაც, ვიდრე რეცხვას შეუდგებოდნენ, სადეზინფექციო კამერაში ამყოფებენ კარგა ხანს, რომელიც 104°-დეა გახურებული და, მაშასადამე, თუ საიდგანმე ბაცილა შეჰყვა, უეჭველად დაჰხოცავს.

ლაბორატორიის ჭირიან განყოფილებაში შესავალთან გამართულია ცალკე განყოფილება - საავადმყოფო, memento mori (მომგონებელი სიკვდილისა) ყველასათვის, ვინც-კი ჭირიანს განყოფილებაში შედის. თუ რომ ვინმე ლაბორატორიაში მსახურთაგანი შავის ჭირით ავად გახდება. მაშინვე ამ სიკვდილის სახლში უნდა შევიდეს და იყოს ქვეყანასა და ადამიანს მოწყვეტილი იმ დრომდის, ვიდრე ბედი სასიკვდილოდ ან სასიცოცხლოდ გაუღიმებდეს. წინ, კარებს გამოჭრილი აქვს პატარა სარკმელი, საიდგანაც ავადმყოფს სასმელ-საჭმელი და წამალი უნდა მიაწოდონ. სხვაფრივ ოთახი ყველაფრით მოწყობილია შიგნიდგან.

ერთი სიტყვით, თვითოეული ფეხის დადგმა ადგილი აქ სიკვდილს აგონებს ადამიანსა და იმავე დროს ისე სიფრთხილითა და წინდახედულად არის ყოველივე მოწყობილი, რომ ძნელია კაცმა წარმოიდგინოს, თუ არ გაუფრთხილებლობით, როგორ შეიძლება, რომ შავი ჭირი ამ საპატიმროდგან სადმე სხვაგან იქმნეს გადატანილი: სიკვდილი და სიცოცხლე აქ მუდამ ერთმანერთს უცქერიან პირის-პირ, მაგრამ მეცნიერება შუაში უდგას ჯ მომაკვდავს სიკვდილისა არ ეშინიან.

ლაბორატორიაში ამას გარდა მოთავსებულია აგრეთვე საუცხოო მუზეუმი ყველა საჭირო პრეპარატებისა, რომლების საშუალებითაც მსურველთ შეუძლიანთ ჭირიანს ქვეყნებში წაუსვლელად ადგილობრივ შეისწავლონ ეს სენი, რაიცა, ეჭვი არ არის, ყველა მკურნალისა და სწავლულ ბაქტერიოლოგოსისათვის დიდი და დიდი შელავათია.

მაშასადამე, როგორც ამ ლაბორატორიისა და საავადმყოფო განყოფილების მოწყობილობა გვიჩვენებს, ჭირის დროს აუკილებლივ საჭიროა. მეორე მხრივ, აუცილებელი პირობაა არ დაიმალოს არც ერთი შემთხვევა საეჭვო ავადმყოფობისა და მაშინვე მთავრობასა და მისს წარმომადგენლებს ეუწყოს; ჭირიანმა თუ ჯანსაღმა, რა-კი ამას მკურნალი საჭიროდა სცნობს, არასოდეს ურჩობა არ გაუწიოს და შავის ჭირის საწინააღმდეგო შრატი და ლიმფა უთუოდ აიკრას. უამისოდ თვითოეული დაგვიანებული წამი სიცოცხლის ფასად დაუჯდება ყველას, ჭირი სწრაფად მოედება ხალხსა და სხ.

Morosus.

ოდ მოხარშონ და ისე იხმარონ; წყალი აუდუღარი არასოდეს არ დალიონ; ჩვეულებრივად, ჩვეულებურად დაუდევრად არ ებყრობოდნენ მკურნალის დარიგებასა და რასაც-კი ურჩევს, უთუოდა და უნაკლულოდ იქმნეს ყოველივე შესრულებული; ჭირიანი, თუ მოკვდება, უმკურნალოდ არ დაიმარხოს და ახლოს არასოდეს არ მიეკარნენ განსაკუთრებით ისეთები, ვისაც-კი რამ მუწუკი, იარა ან ზადი აქვს ტანზედ. სისუფთავე საცვლებისა, საცხოვრებელი ბინისა და ჰაერისაც აუცილებლივ საჭიროა. მეორე მხრივ, აუცილებელი პირობაა არ დაიმალოს არც ერთი შემთხვევა საეჭვო ავადმყოფობისა და მაშინვე მთავრობასა და მისს წარმომადგენლებს ეუწყოს; ჭირიანმა თუ ჯანსაღმა, რა-კი ამას მკურნალი საჭიროდა სცნობს, არასოდეს ურჩობა არ გაუწიოს და შავის ჭირის საწინააღმდეგო შრატი და ლიმფა უთუოდ აიკრას. უამისოდ თვითოეული დაგვიანებული წამი სიცოცხლის ფასად დაუჯდება ყველას, ჭირი სწრაფად მოედება ხალხსა და სხ.

Morosus.

ქართველს რამდენიმე საათის განმავლობაში შეუძლიან დრო ქართულად გაატაროს, ქართულის ჰაერით ისუნთქოსო და სხ. ეს ხომ სიტყვებია, საქმით კი ხშირად სულ სხვა გამოდის. თეატრი მხოლოდ მაშინ ასრულებს სავსებით თავის დიად დანიშნულებას, როდესაც იგი ადამიანს სიამოვნებასთან ერთად ჭკუა-გონების საკვებსაც აწვდის, უნერგავს მას გულში მაღალ ზნეობრივ პრინციპებს, ურკვევს ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენას და ამ რიგად აცხოველებს მის აზროვნებას.

ჩვენდა საუბედუროდ, ხშირად ჩვენი თეატრი ღალატობს ამ დანიშნულებას. იმის მაგიერ, რომ რაც შეიძლება ახვადასხვაფერონ რეპერტუარი, გააცნონ საზოგადოებას უცხო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი, რომელნიც თანამედროვე ცხოვრებისაგან წამოყენებულ მწვავე კითხვებს ეხებიან და, ასე თუ ისე, არკვევენ მათ, ჩვენი მსახიობნი ზოგჯერ ათასნაირად და ათასჯელ გადაღეჭილის და დახავსებულის შინაარსის პიესებით უმასპინძლდებიან საზოგადოებას. ეს პიესები არც გულს, არც გონებას არაფერს ეუბნებიან და მათი სცენაზე დადგმა ტყუილუბრალოდ წყლის ნაყვაა. მაგ., რას წარმოადგენს 11 ნოემბერს ქუთაისის თეატრში დადგმული დრამა „ორ ცეცხლ შუა“. პირველ მოქმედებაში იგებთ, რომ ცოლი ქმარს ღალატობს და მის მეგობარს ჰყვარობს. თამამად შეგიძლიანთ ამის შემდეგ წახვიდეთ თეატრიდამ, რადგანაც უკვე იცით, რითაც გათავდება საქმე. ქმარი აუცილებლად შეიტყობს საყვარელ ცოლის და მეგობრის ვერაგობას, გააფთრდება, დორბლებს გადმოჰყრის, მერე ან თავის მოკვლას განიზრახავს ან და იმათ დაუპირებს მოკვლას (როგორც ერთის, ისე მეორეს აღსრულება მოსალოდნელია) და ბოლოს ამჯობინებს გაეყაროს ცოლს და მეგობარს კი სამაგიერო გადაუხადოს. ესეც პიესის შინაარსი! მოგვწყინდა, ბ-ბო, ამისთანა პიესები, უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო საზრდო მიაწოდეთ საზოგადოებას. განა ჩვენს რეპერტუარში არ მოიპოვება უკეთესი პიესები! მიუხედავად ამისა, დრამამ მაინც კარგად ჩაიარა ბ. მესხიშვილის (დიუმონი) წყალობით, რომელსაც ყოველთვის საუცხოოდ ეხერხება ამისთანა როლები. კარგი იყო დ. ჩარკვიანიც (ალვარესი), ხოლო ალაგ-ალაგ როლის უცოდინარობა უშლიდა ხელს. ქ-ნი გვეთაძე მეტად უსიცოცხლო მატილდა იყო; მან სრულიად ვერ გამოხატა მოღალატე ცოლის სინიდისის ქენჯნა, სულის კვეთება. ჩვენ გვესმოდა მხოლოდ კარგად გაზეპირებული როლი და არა გრძნობიერი აღსრულება. დასასრულ ვურჩევ ჩვენს მსახიობთ მოერიდონ ასეთ პიესების დადგმას, რომ საზოგადოებას, რომელიც ყოველთვის ბლომათ ესწრება ამ სეზონში წარმოდგენებს, გული არ გაუტეხონ. მეორეი დადგმულმა „ირინეს ბედნიერებამ“, როგორც მოსალოდნელი იყო, კარგად ჩაიარა. საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

H. Novus.

გასართობი

—

ლ. ნ. ასათიანი იშვიათი ოხუნჯთაგანი იყო. როცა ის ქუთაისში ქალაქს თავობდა, საბჭოს სხდომებს იმდენი გარეშე მაყურებლები ესწრებოდნენ, რომ ადგილი არ ჰყოფნიდათ. ბევრი მათგანი იმიტომ უფრო დადიოდნენ, რომ „ჩვენი ლუკას“ ოხუნჯობა გაეგონათ. ერთს სხდომაზე ხმოსნები არჩევდნენ ცეცხლის ჩამქრობ რაზმის საქმეს, რომელსაც მაშინ თვით ქალაქის გამგეობა განაგებდა. სხვათა შორის შეეხნენ ცხენების უვარგისობას. ერთმა ხმოსანმა ა—იამ, რომელსაც ცხენის დიდ მცოდნედ მიაჩნდა თავი, ჩვეულების წინააღმდეგ, მოინდომა საბჭოს სჯაში ჩარეოდა, მაგრამ ვერც ცალკე სიტყვის ნების თხოვნა გაბედა და ვერც მარჯვე დროს შენიშვნა მოახერხა, რომ თავისი აზრი ჩაერთო სხვების სჯაში.

— ბატონო, ისუ... ოჯო... რა ქვია... პაჟარნი ცხენები არ გამოგყავთ?... შეეკითხა ქალაქის თავს, როცა ერთ ხმოსანთაგანი სიტყვას ამბობდა. ქალაქის თავმა, რასაკვირველია, არაფერი მიუგო. ა—ია არ მოეშვა, ბოლოს იწყინა კიდეც:

— აწი, რავა, მე კაცი არ ვარ? ამდენი ხნის ხმოსანი ვარ, ერთი ღერი სიტყვა არ მითქვამს, ახლა ერთს რამეს ვკითხულობ, რა გაჭირდა, ოჯო...

ხმოსნებს და დამსწრე საზოგადოებას გულით გაეცინათ.

მაშინ ლ. ნ. ასათიანმა ღიმილით მოიხადა ბოდიში შეურაცყოფილ ხმოსანთან და ჰკითხა, რის განმარტება ნებავდა.—მე იმას ვკითხულობ, ბატონო, „პაჟარნი“ ცხენები არ გამოყავთ? დაეკითხრა ხმოსანი და გამარჯვებული სახით სდუმდა.—მარულაში (დოღში) არა, ბატონო, და ისე, თუ ცეცხლი გაჩნდა ან წყლის დასალევად, კი გამოგვყავსო, მიუგო ირონიულად ხმოსანს.

—

ლ. ნ. ასათიანმა ქუთაისში ქალაქის თაობაზე უკანასკნელად კენჭი იყარა 1892 წელს. წინაღამით მასთან სახლში მივიდა ხმოსანი გ..., რომელიც აშკარად მის მეტოქესაკენ იყო, მაგრამ მაინც უტიფრად შეჰფიცა:

— ე... ე... იქითკენ შესახედავათა ვარ... ე. ი... ღმერთი, რჯული, თქვენზედა გული, როგორც აქამდისინა მქონებია, ისევე მაქვს... შვილები გამიწყვიტოს ღმერთმა, თუ ხვალ შენ თეთრი კენჭი არ მოქცე და შენს მეტოქესა შავი!

მეორე დღეს გ.—მ უტიფრადვე ჩაუგდო შავი კენჭი. ერთი საათის შემდეგ ასათიანი ქალაქის ბაღში შეხვდა გ—ს და, ვითომ აქ არაფერიაო, დინჯად მიიღო მისგან სალამი, მიესალმა თითონაც, როგორც დიდი ხნის კარგს ნაცნობს და ჰკითხა:

— სხვაფრივ, როგორ გიკითხოთ? როგორ მშვიდობით ბრძანდებიან თქვენი შვილები?...

მ.

საგაასო

ერთის შეცდომის გასწორება.

—

„ცნ. ფურცელში“ 13 ნოემბერს დაბეჭდილს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წლიურ კრების ანგარიშში ნათქვამია, რომ ვითომც კრების დაწყებისათანავე მე განმეცხადებინოს: „4 ნოემბრის საზოგადო კრების არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ ისეთ პირთ, რომელნიც საზოგადოების წევრები არ ყოფილან; მაგალითად, ამას ამბობენ ბ-ნთ ლასხიშვილისა და გრძელიშვილის შესახებ და, თუ ეს მართალია, წარსული არჩევნები უკანონოდ უნდა ჩაითვალონო“.

ამითი ვაცხადებ, რომ მე კრებაზედ აღვნიშნე მხოლოდ: წევრთა შორის ხმა დადის, ვითომც რამდენსამე კაცს უკანონოდ ჩაეგდოთ კენჭი წარსულ არჩევნების დროს და სასურველია ეს გარემოება გამგეობის მიერ გამოირკვეს, რათა შესაძლებელია საფუძვლო ხმას ბოლო მოეღოს მეთქი. მე ამ განცხადების დროს არ დამისახელებია ბ-ნნი ლასხიშვილი და გძელიშვილი და ვერც დავასახელებდი, რადგან მათი ბრალი დაჭეშმარიტებით არ ვიცოდი. არც ის მითქვამს, რომ წარსული არჩევნები უკანონოდ უნდა ჩაითვალოსო, პირ-იქით, განვაცხადე: ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ წარსულის არჩევნების გაუქმება მინდოდეს მეთქი.

ჩემს წინადადებას გამოეხმაურა ბ-ნი გ. ლასხიშვილი, რომელსაც, როგორც ეხლა აღმოჩნდა, „ქუდი დაეწვა“ და რომელიც ამტკიცებდა, რომ ეგ ხმა მე შემეხება და მე-კი უფლება მქონდა კენჭი ჩამეგდო, რადგან 1896 წელს საზოგადო კრებამ ამომარჩია, თუმცა ფული არ შევიტანე და სიაში ამიტომ არ მომაქციესო. მე ეხლაც დარწმუნებით არ ვიცი, დასძინა ბ-ნმა გ. ლასხიშვილმა, წევრი ვარ, თუ არა, და ვთხოვ გამგეობას განმარტოს ეს ამბავიო. საკვირველია, „ეხლაც დარწმუნებით არ ვიციო“, სთქვა 11 ნოემბერს და 4 ნოემბერს-კი თურმე „დარწმუნებით სცოდნია“, რომ კენჭი გამოუყენებია.

აი, ამ გარემოებამ გამაოცა და, ბ-ნ ლასხიშვილის გამოხმაურების შემდეგ, როდესაც დავრწმუნდი, რომ ხმა მართალი ყოფილა, განვაცხადე: რადგან წარსულს კრებაზედ ზოგიერთი კანდიდატი ორის ხმის უმრავლესობით იქმნა გაშავებული და დღეს-კი ნამდვილად გამოირკვა, რომ ორს კაცს, ბ-ნთ ლასხიშვილსა და გრძელიშვილს, უკანონოდ ჩაუგდიათ კენჭი, აშიტომ მეც ვუერთდები ბ-ნ მიქაბერიძეს აზრს, რომ წარსული არჩევანები კანონიერი არ არის-მეთქი.

ა. ახნაზაროვი

ადლობას ვუცხადებთ იმათ, რომელთაც პატივი სცეს ჩვენის უდროოდ გარდაცვალებულის შვილის ალექსანდრე დოროთეოზის ძის წინამძღვრიშვილის ხსოვნას როგორც დასაფლავებაზედ დასწრებით, ისე სამგლოვიარო დეპეშების გამოგზავნით.

დოროთეოზ სვიმონის ძე და მეუღლე მისი მარიამ გიორგის ასული წინამძღვრიშვილები.

(1—უ—1)

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

15 ნოემბერი.

პეტერბურგი. 14 ნოემბერს, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღეს, ცარსკოე სელოს დიდი სასახლის ეკკლესიაში სასახლის სამღვდელოების მიერ საღმრთო ლიტურგია იქმნა გარდახდილი. წირვას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და წევრნი სამეფო გვარეულობისა.

სატახტო ქალაქის ყველა ეკკლესიაში სამადლობელი პარაკლისები იქმნა გარდახდილი.

რადგანაც გაზ. „Петербургскія Вѣдомости“-ს მავნე მართულება დაეტყო, შინაგან საქმეთა მინისტრმა გარდასწყვიტა: გაზ. „Петербургскія Вѣдомости“-ს პირველი გაფრთხილება გამოეცხადოს.

მოსკოვიდგან, კიევიდგან, ნოვგოროდიდგან, ვილნოდგან, კოვნოდგან, ჩესნიგოვიდგანა და ყაზანიდგან იუწყებიან, რომ 14 ნოემბერს ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღეს, სამადლობელი პარაკლისები გარდაუხდიათ.

ჩიტა. გაზ „Забайкалье“-ში დაბეჭდილია მოკლედ შემდეგი სიტყვა ამბანის ამონგოლონ უხერიდისა: „ათის წლის წინად არ ვიცოდით რკინის გზა რა იყო; ეხლა, როდესაც ვხედავთ, ვვიკვარს და გვიხარიან, მაგრამ მისის ტეხნიკურ მხარისა და მოწყობილობისა არა გაგვეგება-რა. აქ, როგორც მესმის უმთავრესი ძალა ღმერთი და მეფე ყოფილა. მოწიწებითა და პატივით მოვიხრი ქედს ბოგდახანისა რუსეთის დიდ მეფის წყალობისა წინაშე, რომელთა მეგობრობამაც ასეთი დიდი საქმე შეჰქმნა. ქედს ვიხრი დასავლეთის სასწაულის წინაშე. დიდის ჩინეთისა და რუსეთის მომავალმა თაობამ ისარგებლოს დღე მშვიდობიანად ამ გზის კეთილი ნაყოფით. გაუმარჯოს ჩვენს დიდებულს ბოგდიხანს, გაუმარჯოს რუსეთის დიდებულს თეთრს მეფეს, მრავალ ჟამიერ!

თეოდოსია. ნოემბრის დამლევს ვლადივოსტოკიდგან 1,000 მეტი ჯარის კაცი ჩამოვა გემით „მანჯურიი“.

კიევი. მიტროპოლიტი თეოგნოსტე 22 ნოემბერს პეტერბურგს მიდის.

გზათა სამინისტროს წარმომადგენელთა კომისსია სამუშაოების სანახავად და კიევო-პოლტავის გზის ჩასაბარებლად წავიდა,

ხარკოვი. სამთო მუშათა საურთიერთო დაზღვევის წესდების პროექტის შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროების მიერ წარდგენილ მოთხოვნილებასთან შესაბამებლად დანიშნულს კრებაზედ მონაწილეობის მისაღებად სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ტაინი სოვეტნ. შტოფი გაგზავნა.

ხერსონი. ჯანკოი-ხერსონ—ნიკოლაევ—ოდესის რკინის გზის ლიანდაგის გამოკვლევა დამთავრებულ იქმნა. დნეპრზე ხიდს სოფ. ფალეევკას მახლობლად გაიყვანენ.

ასტრახანი. ნავთის მრეწველობის განსავითარებლად და ფასების გასაწყორებლად საბირჟო კომიტეტი შუამდგომლობს ფინანსთა სამინისტროს წინაშე ფუთეული საჯარო გარდასახადი გაუქმებულ იქმნეს და მის მაგიერად შემოდიოს საჯარო მიწებიდგან ერთის ნაწილის გადადება ხაზინის სასარგებლოდ.

განჯა. დღეს დილით პირველად მოვიდა თოვლი.

კოპენგაგენი. ცნობილს მწერალს გეორგ ბრანდესს უნივერსიტეტმა საპატიო ჯილდოთ ყოველწლიურად 5,000 კრონი დაუნიშნაო, იუწყებიან გაზეთები.

ლონდონი. როგორც კიტჩენერის დეპეშა იუწყება პრეტორიიდგან, კაკს თურმე უცნობებია, რომ 36 კაცი ტყვეთ წაუყვანია, რომელთა შორისაც თურმე არიან დაჭრილი უფროსი რაზმისა ჟუბერი და ფელდკორნეტები ვოლმარანსი და დიდერიხსი. ეს თითქმის მთელი რაზმია ჟუბერისაო. სოლს ბერი ავად გახდა ტ შინადგან აღარ გამოდის.

განცხადება

Годъ XVIII.

Открыта подписка на 1902 годъ

на издающуюся въ городѣ Ставрополѣ-Кавказскомъ общественно-литературную и политическую газету

„Сѣверный Кавказъ“

(съ Октября 1901 г. форматъ газеты увеличенъ)

выходящую три раза въ недѣлю—по вторникамъ, четвергамъ и субботамъ и посвященную выясненію нуждъ края, названіе котораго она носитъ.

ВЪ ПРОМЕЖУТОЧНЫЕ ДНИ—среду, пятницу и воскресенье выходятъ ТЕЛЕГРАММЫ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой и пересылкой:	р.	к.	Безъ доставки и пересылки:	р.	к.
На годъ	5	50	На годъ	4	5
„ полгода	3	—	„ полгода	2	5
„ 3 мѣсяца	1	75	„ 3 мѣсяца	1	5
„ 1 мѣсяцъ	—	60	„ 1 мѣсяцъ	—	5

Суммы менѣе рубля можно высылать почтовыми марками.

Допускается разсрочка платежа—по соглашенію съ редакціей.

Адресъ: Ставрополь-Кавказскій, редакція „Сѣвернаго Кавказа“. Телеф. № 36

Пріемъ объявленій: въ Ставроп.-Кавк. въ ред. и тип. „Сѣв. Кав“ въ Москвѣ и Петербургѣ въ конт. Торг. Дома Л. и Э. Метцль и К°

Издатель В. В. Беркъ. Редакторъ Д. И. Евсѣев

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Ноября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.